

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030464988849615

04-368/ო

29 / ოქტომბერი / 2015 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის 138 დადგენილებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობებით“ (დანართი N1) გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე" სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 21 მაისის 04-149/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1.„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის 138 დადგენილებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობებით“ (დანართი N1) გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე" სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 21 მაისის 04-149/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №2 (მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრში და კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში პირის ჩარიცხვა/ამორიცხვის შესახებ მისაღები გადაწყვეტილების ფორმა) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისგაცნობასტრუქტურულიერთეულებისთვის;
3. დირექტორის აპარატს (დეპარტამენტი) დაევალოს წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული ფორმის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: [ssa.gov.ge](http://ssa.gov.ge).
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

-----

-- / ----- / ----წ.

**გადაწყვეტილება**

(მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში დღის ცენტრში და/ან კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში არასრულწლოვანი \_\_\_\_\_ ჩარიცხვის/ამორიცხვის შესახებ)

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსმა სოციალურმა მუშაკმა, \_\_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_ ანკეტის საფუძველზე, განიხილა საქმე არასრულწლოვანი – \_\_\_\_\_ (პირობითი მონაცემები: \_\_\_\_\_ /იდენტიფიცირებული მონაცემები: \_\_\_\_\_) მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში \_\_\_\_\_ ჩარიცხვის/ამორიცხვის შესახებ.

იგი მიუსაფარ ბავშვად იდენტიფიცირებულია \_\_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_ ანკეტით და მიზანშეწონილია მან ისარგებლოს \_\_\_\_\_ მომსახურებით.

ვიხელმძღვანელებ, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის 52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობების“ (დანართი 1) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით და

**გადაწყვეტილება:**

1. არასრულწლოვანი – \_\_\_\_\_ ჩარიცხვის/ამორიცხვის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედ \_\_\_\_\_.
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრით სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში (ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 144), ან სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, 6), გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში.

უფროსი სოციალური მუშაკი

/ \_\_\_\_\_ /